ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAULI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

№ 5001672919

18/03/2019 წ.

5001672919

შპს თრიფელ ეი -ს დირექტორს ქბნ ნინო
სიხარულიძეს

(საქართველო, ქალაქი თბილისი, ბარნოვის ქ., №10)

ქალბატონო ნინო,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი მომართვის (ბიუროს 2018 წლის 19 დეკემბრის რეგისტრაციის N1010980018) საფუძველზე, გიგზავნით საინჟინრო ექსპერტიზის N001828619 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 26 ფურცლად

პატივისცემით,

გიორგი თვაური
ბიუროს უფროსი

ილისი 0162, ჭავჭავაძის გამზ. N84
ტაისი 4600, ი. ჭავჭავაძის 2ა
ბუმი , პ. მელიქიშვილის ქ. N102
(995 32) 2258484

84 Chavchavadze ave., Tbilisi 0162
2A I. Chavchvadze str., Kutaisi 4600
102 P. Melikishvili str., Batumi
(995 32) 2258484

5001672919

ელექტრონული დოკუმენტის ასლის მატერიალურ დოკუმენტთან თანაბარ იურიდიულ ძალას ვადასტურებ,
ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირი _____

თარიღი 19.03.2019 (ხელმოწერა) გ.ა

FORENSICS BUREAU

001828619

ექსპერტის დასკვნა № 001828619

გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის მიერ დანიშნული ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 138-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებულია ეარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

დამნიშნავი :

ორგანიზაცია: შპს ირიფელ ეი

თანამდებობა: დირექტორი

მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ბარნოვის ქ., №10

სახელი და გვარი: ნინო სიხარულიძე

საფუძველი: განცხადება

შემსრულებელი ექსპერტები :

დავით სტურუა / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს საშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 10 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გთხოვთ მოგვცეთ დასკვნა, რომ ქ. თბილისში, ბარნოვის ქ. #10-ში მდებარე მრავალფუნქციური შენობის მშენებლობას ზიანი არ მიუყენებია მომიჯნავე შენობებისთვის და რომ იგი არც მომავალში არ მიაყენებს მათ ზიანს: 1. ბარნოვის ქ. #8 (მომიჯნავე). 2. საჯარო სკოლა #48 (მომიჯნავე).

შემოსვლის თარიღი: 19.12.2018წ.

გასვლის თარიღი: 18.03.2019წ

დასკვნა

ქ. თბილისში, მრავალფუნქციური შენობის მშენებლობას დღეისმდგომარეობით არ მოუხდენია ზეგავლენა მომიჯნავედ განთავსებულ სამსართულიანი საცხოვრებელი სახლის (ბარნოვის ქ. #8) იმ ფართებზე, რომლის შესწავლაც უზრუნველყოფილი იქნა დამკვეთის მიერ. ასევე ქ. თბილისში, მრავალფუნქციური შენობის მომიჯნავედ განთავსებული საჯარო სკოლა #48-ზე (ბარნოვის ქ. #10) მრავალფუნქციური შენობის მშენებლობას დღეისმდგომარეობით არ მოუხდენია ზეგავლენა. რაც შეეხება მიაყენებს თუ არა სამომავლოდ მრავალფუქნციური შენობა მომიჯნავედ განთავსებულ შენობებს ზიანს, საჭიროა შესწავლილი იქნას შენობების საპროექტო დოკუმენტაცია, ის შემდგომაც შესაძლებელი იქნება სამომავლო ზეგავლენის დადგენა.

დავით სტურუა

გამოკვლევა

2019 წლის 30 იანვარს განხორციელდა ქ. თბილისში, ბარნოვის ქ. #10-ში მდებარე მრავალფუნქციური შენობის მომიჯნავედ განთავსებული შენობების ვიზუალური გამოკვლევა, მათზე მრავალფუნქციური შენობის მშენებლობის პროცესში ზეგავლენის დადგენის მიზნით.

დღეის მდგომარეობით ბარნოვის ქ. #10-ში მდებარე მრავალფუნქციური შენობის სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია და მიმდინარეობს ფასადის პოპირკეთების და შიდა სარემონტო სამუშაოები (იხ. ფოტო 1-:-3). დამკვეთის გადმოცემით მშენებლობა დაიწყო 2017 წლის ოქტომბერში, რომლის პროცესშიც მოეწყო დაახლოებით 20-:-25 მ-ის სიგრძის ხიმინჯები და 60 სმ-ი სისქის რკ/ბეტონის მონოლითური საძირკვლის ფილა. შენობის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს რკ/ბეტონის კარკასი, მონოლითური სვეტებით და რიგელებით, სარდაფის სართულის გარე პერიმეტრზე მოწყობილია საყრდენი კედელი (იხ. ფოტო 4-:-6). სართულშუა გადახურვა ასევე მონოლითური რკ/ბეტონია. მრავალფუნქციური შენობის ძირითადი ფასადის მარცხენა მხარეს ბარნოვის ქ. #8-ში განთავსებულია საცხოვრებელი სახლი, ხოლო მარჯვენა მხარეს საჯარო სკოლა #48.

მრავალფუნქციური შენობის ძირითადი ფასადის მარჯვენა მხარეს (ბარნოვის ქ. #8) მდებარე სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი განთავსებულია დაბრილ რელიეფზე რომელიც აშენდა 1897 (წარმომადგენელთა გადმოცემით) წელს, შენობა გეგმაში რთული „L"-სებრი ფორმისაა (იხ. ფოტო 7-:-9), მაქსიმალური მიახლოებითი ზომებით 32.50x28.80 მ-ი. შიდა ეზოს მხრიდან შენობასზე მიდგმულია ვალერეა, რომელიც პირველი სართულის დონეზე ამოშენებულია (იხ. ფოტო 9), სახურავი ოთხფერდიანია დაფარული თუნუქის ბურულით (იხ. ფოტო 10).

შენობის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს შერულ დუღაბზე ნაშენი 0.6 მ სისქის მქონე გრძივი და განივი გამჭოლი კამეტალური კედლები, ამოფვანილი წითელი აგურის წყობით, აქვე დავამატებთ, რომ კედლების გაულესავი ზედაპირის მრიდან, დაახლოებით 1.5-2.0 სმ სიღრმეზე (იხ. ფოტო 10; 11) აღნიშნული დუღაბი პრაქტიკულად გამოფიტულია და ადვილად იშლება. საძირკველი ლენტური ტიპისაა, შენობის სიმაღლე შიდა ეზოს მხრიდან სახურავამდე h=10.50 მ-ია. სართულშუა გადახურვები შესრულებულია ხის კოჭებით. პირველ და მეორე სართულებს შორის საკომუნიკაციო კავშირს უზრუნველყოფს შენობის შიდა ფართში განთავსებული ანაკრები ბეტონის საფეხურებიანი კიბე, ხოლო შიდა ეზოს მხრიდან ლითონის ხვეული კიბეები (იხ. ფოტო 12-:-14). სახურავის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს ხის კოჭები, ნივნივები და დგარები დაფარული თუნუქის ბურულით.

უნდა აღინიშნოს რომ შენობის კვლევის პროცესში დამკვეთის მიერ (ნინო სიხარულიძე) ვერ იქნა უზრუნველყოფილი შენობის სრულად დათვალიერება. მოხერხდა მხოლოდ რამოდენიმე მოსახლის სახცხოვრებელი ფართის და ორი მცირე ზომის სათავსოს, ასევე შენობის გარე პერიმეტრის და ფასადების დათვალიერება.

შენობის შესწავლილ სათავსოებში, რომელიც შესწავლილი ფართებიდან ყველაზე ახლოს მდებარეობს მომიჯნავე მშენებლობასთან, დაფიქსირდა ვერტიკალური და დახრილი მბეჭვისებური ბზარები (იხ. ფოტო 15-:-18), შიდა ეზოს გარე კედელზე შრეულ ლიითონის კიბესთან და კარის ღიობზე ფიქსირდება ასევე ვერტიკალური ნაპრალი და ბზარები (იხ. ფოტო 19-:-23), შიდა კიბის უკრუდში ბზარები ჭერიდან გადადის კედლებზე რაც ჯდენითი პროცესისთვისაა დამახასიათებელი (იხ. ფოტო 24; 25). მშენებლობის მომიჯნავე მხარეს განთავსებული სანკვანძები მოუვლელია, დეფორმირებულია პლასტმასის მოპირკეთება და დემონტირებულია ფილები (იხ. ფოტო 26; 27). მომიჯნავედ მიმდინარე მშენებლობის საპირისპირო მხარეს, შენობის ფასადის და შიდა კედლებზე, ფანჯრის და კარის თავზე ზღუდარებში ფიქსირდება სხვადასხვა მიმართულების დახრილი, ვერტიკალური და ჰორიზონტალური ბზარები (იხ. ფოტო 28-:-56). კედლებზე ჩამოშლილია ნალესი (იხ. ფოტო 57). სანკვანძებში შეინიშნება ნესტიანი და დაობებული კედლები, გამოფიტულია და იშლება გაჯის ნალესი რაც ტენიანობის მაღალი დონის მანიშნებელია. ახლად გარემონტებულ კორიდორში ბზარები არ ფიქსირდება (იხ. ფოტო 58-:-62). უნდა აღინიშნოს რომ, შესწავლილი ბზარები და ნაპრალები ძველია, და ძირითადად კონცენტრირებულია მომიჯნავედ მიმდინარე მშენებლობის საპირისპირო მხარეს. ბზარები გამოწვეულია შენობის მნიშვნელოვანი ცვეთით, სხვადასხვა პერიოდში გადატანილი მიწისძვრებით და საძირკვლების არათანაბარი ჯდენებით. ახლად წარმოქმნილი ბზარები მშენებლობის მომიჯნავედ, რომელიც დადასტურებს მშენებლობის ზეგავლენას საკვლევ შენობაზე დღეის მდგომარეობით ვერ დაფიქსირდა, რეკომენდირებულია გაგრძელდეს მონიტორინგი შენობის მზიდ კედლებზე და არსებულ ბზარებზე და განხორციელდეს მისი სრულად (ყველა შიდა ფართების) შესწავლა.

ამრიგად, ვიზუალური კვლევით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, ქ. თბილისში, მრავალფუნქციური შენობის მშენებლობას დღეისმდგომარეობით არ მოუხდენია ზეგავლენა მომიჯნავედ განთავსებულ სამსართულიანი საცხოვრებელი სახლის (ბარნოვის ქ. #8) იმ ფართებზე, რომლის შესწავლაც უზრუნველყოფილი იქნა დამკვეთის მიერ.

მრავალფუნქციური შენობის ძირითადი ფასადის მარცხენა მხარეს (ბარნოვის ქ. #10) მდებარე სამსართულიანი საჯარო სკოლა #48-ის შენობა განთავსებულია დაბრილ რელიეფზე რომელიც აშენდა 1902 (წარმომადგენელთა გადმოცემით) წელს და დღეის მდგომარეობით სარგებლობს ისტორიული ძეგლის სტატუსით. შენობა გეგმაში რთული ფორმისაა (იხ. ფოტო 63-:-65), მას არ გააჩნია სუფთური ნაკერი. დამკვეთის მითითებით შესწავლილი იქნა მრავალფუნქციური შენობის მომიჯნავედ განთავსებული სკოლის ნაწილი.

დავით სტურუა

გამოყენებული მასალები

1. [illegible] ზეპირსიტყვიერად მოწოდებული ინფორმაცია.

2. [illegible] ზეპირსიტყვიერად მოწოდებული ინფორმაცია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. [illegible]

2. [illegible] "საინჟინრო მშენებლობა" პნ. 01.01-09

3. [illegible] 2-03.01-84* ბეტონისა და რკ/ბ კონსტრუქციები.

4. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხ. და საზ. შენობების გამოკვლევისა და [illegible] თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქცია. თბილისი 1992 წ.

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: ზაზა ყიფიანი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ბადრი ლეფსაია

ფოტოილუსტრაცია

ფოტო 1

ფოტო 2

ფოტო 3



ფოტო 4

ფოტო 5

ფოტო 6

ფოტო 7

ფოტო 8

ფოტო 9

ფოტო 10

ფოტო 11

ფოტო 12

ფოტო 13

ფოტო 14

ფოტო 15



ფოტო 16

ფოტო 17



ფოტო 18

ფოტო 19



ფოტო 20

ფოტო 21



ფოტო 22

ფოტო 23



ფოტო 24

ფოტო 25



ფოტო 26

ფოტო 27



ფოტო 28

ფოტო 29



ფოტო 30

ფოტო 31



ფოტო 32

ფოტო 33



ფოტო 34



ფოტო 35



ფოტო 36

ფოტო 37



ფოტო 38

ფოტო 39



ფოტო 40

ფოტო 41



ფოტო 42

ფოტო 43

ფოტო 44

ფოტო 45



ფოტო 46

ფოტო 47

ფოტო 48

ფოტო 49

ფოტო 50

ფოტო 51

ფოტო 52

ფოტო 53



ფოტო 54



ფოტო 55

ფოტო 56

ფოტო 57



ფოტო 58

ფოტო 59



ფოტო 60

ფოტო 61



ფოტო 62



ფოტო 63

ფოტო 64



ფოტო 65



ფოტო 66



ფოტო 67

ფოტო 68

ფოტო 69



ფოტო 70



ფოტო 71



ფოტო 72

ფოტო 73



ფოტო 74

ფოტო 75



ფოტო 76

ფოტო 77



ფოტო 78



ფოტო 79



ფოტო 80

ფოტო 81



ფოტო 82

ფოტო 83



ფოტო 84

ფოტო 85



ფოტო 86

ფოტო 87

ფოტო 88



ფოტო 89



ფოტო 90

ფოტო 91



ფოტო 92

ფოტო 93



ფოტო 94



ფოტო 95



ფოტო 96



ფოტო 97



ფოტო 98



ფოტო 99



ფოტო 100

ფოტო 101



ფოტო 102



ფოტო 103

ფოტო 104



ფოტო 105



ფოტო 106

ფოტო 107



ფოტო 108



ფოტო 109

ფოტო 110



ფოტო 111



ფოტო 112



ფოტო 113



ფოტო 114



ფოტო 115



ფოტო 116



ფოტო 117



ფოტო 118



ფოტო 119



ფოტო 120



ფოტო 121

ფოტო 122



ფოტო 123

ფოტო 124



ფოტო 125



ფოტო 126

ფოტო 127



ფოტო 128



ფოტო 129

ფოტო 130